

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2020 წლის 31 იანვრის სხდომის

ო ქ მ ი N 1

2020 წლის 31 იანვარს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: გიორგი ჭეიშვილი, ლევან გორდეზიანი, მარიამ ჩხარტიშვილი, ავთანდილ სონღულაშვილი, ქეთევან ხუციშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ლიანა ბითაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ვაჟა კიკნაძე, დოდო ჭუმბურიძე, ნინო მინდაძე, სალომე ოქრუაშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი. საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის 2019 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიშის მონიტორინგის შედეგები.
2. ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება-განხილვა
3. 2020 წლის სამეცნიერო სამუშაოების დაგეგმვა.
4. ინსტიტუტის ლოგოს დამტკიცება.
5. მიმდინარე საკითხები.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. ინსტიტუტის 2019 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიშის მონიტორინგის შედეგები.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ინსტიტუტის 2019 წლის სამეცნიერო მუშაობის მონიტორინგის კომისიას ხელმძღვანელობდა ქალბატონი ლიანა ბითაძე. იგი გაგვაცნობს კომისიის მუშაობის შედეგებს.

ლიანა ბითაძე: მონიტორინგის კომისიამ დაასრულა მუშაობა; ვიყავით ყველა სამეცნიერო განყოფილებაში; ასევე, მოვისმინეთ ბიბლიოთეკაში და ისტორიულ და ეთნოლოგიურ არქივში გასულ წელს ჩატარებული სამუშაოების შედეგები. ვისაუბრეთ, გვქონდა წინადადებები, როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი მეცნიერული მუშაობა. გარდა გეგმიური სამეცნიერო ნაშრომებისა, შევამოწმეთ წლის განმავლობაში შესრულებული აქტივობები, გამოქვეყნებული სტატიები, სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა და ა. შ. ძირითადად, სამუშაოები შესრულებულია; თუმცა, რამდენიმე თანამშრომელს არ ქონდა

სრულყოფილად წარმოდგენილი წლიური ნაშრომი; ამის გამო, ნაშრომის დასრულებისათვის მივეცი ვადა 2020 წლის 10 თებერვლამდე. მონტორინგის კომისიის მუშაობის საბოლოო ანგარიშს წარმოგიდგენთ საბჭოს მომდევნო სხდომაზე.

აზრი გამოთქვას: გიორგი ჭეიშვილმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ეკა კვაჭანტირაძემ, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ავთანდილ სონდულაშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, ნინო მინდაძემ.

გაიმართა მსჯელობა წლიური ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეცენზირების აუცილებლობის შესახებ. აღნიშნეს, რომ ნაშრომები უნდა იყოს ელექტრონული სახით წარმოდგენილი. გამოითქვა აზრი, რომ წლიური ნაშრომების შესახებ განყოფილების გამგებმა გააკეთონ ანგარიში და მონიტორინგის კომისიამ შეისწავლოს ეს ანგარიში.

გიორგი ჭეიშვილი: 2019 იყო ბოლო წელი ინსტიტუტის მიერ განხორციელებული ოთხივე პროექტისათვის. წელს უნდა წარმოდგენილიყო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი პროდუქტი. პროექტებისა და ქვეპროგრამების ხელმძღვანელებს ვთხოვ, კიდევ ერთხელ შეაფასონ ჩატარებული სამუშაო, დავთქვათ გონივრული ვადები და წარმოვადგინოთ დასაბეჭდად გამზადებული ნაშრომები.

ლავრენტი ჯანიაშვილი: შემოვიდა წინადადება რომ გამოვეყოთ ერთი რომელიმე კონკრეტული საკითხი, რომლითაც წარვდგებით მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინაშე ანგარიშით. ვფიქრობ, საინტერესო იქნება, თუ ინსტიტუტის ორგანიზებით, გასულ წელს ჩატარებული გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია,“ შედეგებს გავაცნობთ აკადემიურ საზოგადოებას. კონფერენციის მოხსენებათა კრებული იბეჭდება და იგი 2020 წლით გამოვა.

დაადგინეს: ინსტიტუტის 2019 წლის სამეცნიერო მუშაობის მონტორინგის კომისიის მუშაობის საბოლოო ანგარიში ქალბატონმა ლიანა ბითაძემ წარმოგიდგინოს საბჭოს მომდევნო სხდომაზე.

მოისმინეს:

2. ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება-განხილვა.

მარიამ ჩხარტიშვილი: მე წარმოგიდგენთ არა სტრატეგიული განვითარების პროექტს, არამედ მოგახსენებთ ჩემ მოსაზრებას, თუ როგორ უნდა შევადგინოთ ეს დოკუმენტი, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის წინსვლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნება. ამ დოკუმენტში უპირველეს ყოვლისა უნდა განვსაზღვროთ ვინ ვართ, როგორ ვხედავთ ჩვენ წინსვლას, რა არის ჩვენი მისია. ვფიქრობ, ეს თანამშრომელთა გამოკითხვის საფუძველად

უნდა გადაიქცეს. ინსტიტუტის ფუნქციის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით განსაზღვრის შემდეგ, უნდა გამოვარკვეოთ ჩვენ სად ვართ. იმისათვის რომ ვიყოთ კონკურენტუნარიანი ინსტიტუცია, უნდა განვსაზღვროთ ინსტიტუტის ძლიერი მხარეები, შემდეგ კი, რა არის სუსტი მხარე; რა გვიწყოს ხელს მუშაობაში და რა პირიქით. ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ შევძლებთ ჩამოვყალიბოთ განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ორიენტირებული იქნება ძლიერი მხარეების გაძლიერებაზე, სუსტი მხარეების ნაწილობრივ, ან მთლიანად აღმოფხვრაზე. შეიძლება განვითარების სტრატეგიაში ჩაწერილი ყველა პუნქტი უცებ ვერ გადაიჭრას, მაგრამ უნდა იყოს ჩაწერილი. მაგალითად, სტრატეგიული განვითარების გეგმაში შეიძლება აისახოს, რომ გარდა კვლევითი ფუნქციისა გვინდა ვიყოთ ჩართულნი საგანმანათლებლო პროცესშიც, განვსაზღვროთ ძლიერი მხარე – რომ გვაქვს სამეცნიერო პოტენციალი, გვაქვს ისტორიული დარგების ფართო სპექტრი, გვაქვს შენობა, სუსტი მხარე – რომ საგანმანათლებლო კანონმდებლობა არ გვამლევს საშუალებას ვიყოთ საგანმანათლებლო სივრცეში ჩართულნი. უნივერსიტეტს აქვს თავისი განვითარების სტრატეგია, მაგრამ როგორც დამოუკიდებელმა ინსტიტუციამ ჩვენც უნდა გამოვჩახოთ ჩვენი უნიკალური ნიშა. ინსტიტუტის მისია უნდა გახდეს ფართო განხილვის საგანი, მე პირადად ასე მეჩვენება, რომ მთლიანად ინსტიტუტის დისციპლინაზე უნდა გვქონდეს აღებული პასუხისმგებლობა, რაც გარკვეული დოზით უნივერსიტეტშიც, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კეთდება, მაგრამ ჩვენ მათგან განსხვავებული რაღაც ნიშა უნდა გვქონდეს.

გაიმართა მსჯელობა **აზრი გამოთქვას:** გიორგი ჭეიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა, ლევან გორდეზიანმა და სხვა.

დაადგინეს: სამეცნიერო საბჭოს წევრებს დაეგზავნოთ მარიამ ჩხარტიშვილის მიერ განხილული მასალა; ყველამ წერილობით მოგვაწოდოს თავისი აზრი. დაევალოთ ქალბატონ მარიამ ჩხარტიშვილსა და ბატონ ვალერიან ვაშაკიძეს აღნიშნული მასალისა და მოწოდებული წინადადებების საფუძველზე, შეადგინონ ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი და მიმდინარე წლის მარტის შუა რიცხვებისთვის წარმოადგინონ პროექტის შავი ვარიანტი.

მოისმინეს:

3. 2020 წლის სამეცნიერო სამუშაოების დაგეგმვა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: მიმდინარე წლის გეგმიური წლიური ნაშრომები განყოფილებებშია შემუშავებული. გარდა ამისა, წელს იგეგმება ორი კონფერენცია: 1. საერთაშორისო - „კავკასიის კარი - საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე“, რომელიც დაფინანსდა შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ (ხელმძღვანელი ვ. ვაშაკიძე). იგი ეხება საქართველოს სასაზღვრო რეგიონების (დარიალის კარი) კვლევას; 2. მეორე საერთაშორისო კონფერენცია - „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

ოკუპირებულ ტერიტორიაზე - საქართველო და საერთაშორისო გამოცდილება“ ორგანიზებულია გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მიერ (ეხება ოკუპირებულ რეგიონებს) და ჩვენი ინსტიტუტი თანამონაწილე ორგანიზაციის სტატუსით იქნება წარმოდგენილი. კონფერენციაში მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია, მაგრამ პრიორიტეტი მიენიჭება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტს.

რაც შეეხება ინსტიტუტის ჟურნალ „ქრონოსს“, იგი ფაქტიურად მზად არის გამოსაცემად. წელს გვინდა მეორე ნომერიც მოვასწროთ.

გიორგი ჭეიშვილი: ოქსფორდის კრებულზე მოგახსენებთ, რომელსაც გამომცემელი თავისი ხარჯით გამოცემს. ამ გამომცემლობას თავისი მყარი აკადემიური ნიშა აქვს საგამომცემლო სივრცეში; და თუ გვინდა, რომ ნაშრომები დაიბეჭდოს აღნიშნულ კრებულში, სტატიები მზად უნდა გვქონდეს აგვისტოში. მითითების წესს გამოგიგზავნით და გააცანით თანამშრომლებს.

რაც შეეხება განყოფილებების კრებულებს; მოგახსენებთ, რომ ინსტიტუტის 2020 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა ყველა განყოფილების კრებულისათვის 1000–1000 ლარის ოდენობით. უნდა შემოვიღოთ განყოფილებების კრებულების, შიდა, ან მომიჯნავე განყოფილების მიერ რეცენზირება, რაც გარკვეულად გაზრდის ხარისხს. გთავაზობთ, კრებულის განხილვა მოხდეს სამეცნიერო საბჭოზე და მიენიჭოს გრიფი.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვას:** გიორგი ჭეიშვილმა, ლევან გორდეზიანმა, როლანდ თოფჩიშვილმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ეკა კვაჭანტირაძემ, ავთანდილ სონღულაშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა და სხვა.

დაადგინეს: განყოფილებების კრებულებმა გაიაროს რეცენზირება და სამეცნიერო საბჭომ მიანიჭოს გრიფი.

მოისმინეს:

4. ინსტიტუტის ლოგოს დამტკიცება.

ლავრენტი ჯანიაშვილი: წარმოგიდგინთ ინსტიტუტის ლოგოს ახალ ვარიანტს და გთხოვთ, გამოთქვათ მოსაზრებები. თუ მოგვწონს ეს ვარიანტი, დავამტკიცოთ.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვას:** გიორგი ჭეიშვილმა, ლევან გორდეზიანმა, როლანდ თოფჩიშვილმა და სხვა.

ინსტიტუტის ლოგოს დასამტკიცებლად ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე – 13 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ინსტიტუტის ლოგოდ დამტკიცდეს წარმოდგენილი ვარიანტი (დანართი 2).

5. მიმდინარე საკითხები.

გიორგი ჭეიშვილი: მიმდინარე წელს განვაახლებთ „საინსტიტუტო საუბრების“ სემინარებს. დაევალოს საბჭოს თავმჯდომარეს, ლავრენტი ჯანიაშვილს შეადგინოს სემინარების გეგმა-გრაფიკი.

ლავრენტი ჯანიაშვილი: განყოფილების ხელმძღვანელებს გთხოვთ, გაუწიოთ ორგანიზება, რათა „საინსტიტუტო საუბრების“ სემინარში მონაწილეობის მსურველმა თანამშრომლებმა გადმომიგზავნონ თემის სათაური და სავარაუდო დრო, როდისთვის სურთ გამოსვლა და გეგმა-გრაფიკს შევადგენ.

ლევან გორდუზიანი: მინდა გაცნობოთ, 2020 წელს დაგეგმილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გიორგი მელიქიშვილის კითხვანი“ ჩატარდება ფორმატით – მოხსენებით გამოვა 2-3 ადგილობრივი მეცნიერი და 1-2 უცხოელი მეცნიერი.

ლავრენტი ჯანიაშვილი: გიორგი ჩიტაიასადმი მიძღვნილი (ადრე კითხვანი ვთქვით, ალბათ, აჯობებს სიმპოზიუმი დავარქვათ) სიმპოზიუმი ჩატარდება ყოველწლიურად, მიეძღვნება რომელიმე კონკრეტულ პრობლემას და შეიძლება მრგვალი მაგიდის სახე მიეცეს. საქართველოს ყველა სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებების ეთნოლოგიური წრეებიდან (სასურველია რეგიონებიდანაც) მოვიწვიოთ ჩვენი კოლეგები. სიმპოზიუმი ჩატარდება 10 ნოემბერს. აღნიშნული ღონისძიების ორგანიზატორი მუდმივად იქნება ჩვენი ინსტიტუტი.

სხდომამ დაადგინა:

1. ინსტიტუტის 2019 წლის სამეცნიერო მუშაობის მონტორინგის კომისიის მუშაობის საბოლოო ანგარიში ქალბატონმა ლიანა ბითაძემ წარმოგიდგინოს საბჭოს მომდევნო სხდომაზე.
2. სამეცნიერო საბჭოს წევრებს დაეგზავნოთ მარიამ ჩხარტიშვილის მიერ განხილული მასალა; ყველამ წერილობით მოგვაწოდოს თავისი აზრი. დაევალოთ ქალბატონ მარიამ ჩხარტიშვილსა და ბატონ ვალერიან ვაშაკიძეს აღნიშნული მასალისა და მოწოდებული წინადადებების საფუძველზე, შეადგინონ ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი და მიმდინარე წლის მარტის შუა რიცხვებისთვის წარმოადგინონ პროექტის შავი ვარიანტი.
3. განყოფილებების კრებულებმა გაიაროს რეცენზირება და სამეცნიერო საბჭომ მიანიჭოს გრიფი.

4. ინსტიტუტის ლოგოდ დამტკიცდეს წარმოდგენილი ვარიანტი (დანართი 2).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

ლავრენტი ჯანიაშვილი

სამეცნიერო საბჭოს მდივანი:

ლიანა ბითაძე

31. 01. 2020

4. ინსტიტუტის ლოგოდ დამტკიცდეს წარმოდგენილი ვარიანტი (დანართი 2).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:



ლავრენტი ჯანიაშვილი













სამეცნიერო საბჭოს მდივანი:



ლიანა ბითაძე

31. 01. 2020

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2020 წლის 31 იანვრის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი 
- ლევან გორდეზიანი 
- მარიამ ჩხარტიშვილი 
- ავთანდილ სონღულაშვილი 
- ქეთევან ხუციშვილი 
- როლანდ თოფჩიშვილი 
- ლიანა ბითაძე 
- გიორგი ქავთარაძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე 
- ვაჟა კიკნაძე 
- დოდო ჭუმბურიძე 
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე 
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი 
- ლავრენტი ჯანიაშვილი 